განხორციელდა ცვლილებები აკადემიის დირექტორის
2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით
დანართი26

შპს გეოგლობალ აკადემიის სტუდენტური სერვისები

კონსულტაციები და მომსახურება პროფესიული სტუდენტის სასწავლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე

შპს ,,გეოგლობალ აკადემია“ პროფესიულ სტუდენტს საკონსულტაციო მომსახურებას, კონსულტირებას და დახმარებას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მომსახურეობას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, შედეგების დადასტურებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების და სხვ. საკითხებზე.

სამედიცინო მომსახურება

აკადემიაში სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ექიმი/ექთანი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობაზე.
აკადემიის ექიმი/ექთანი უწევს მომსახურებას/დახმარებას სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

ბიბლიოთეკა

პროფესიულ სტუდენტებს ემსახურება ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. სასწავლო ლიტერატურა ხელმისწავდომია ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით. აკადემიის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამუშაო მაგიდები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში არის ასლგადამღები, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ მასალის დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა.

აკადემიაში არის უკაბელო ინტერნეტი - Wi Fi აკადემიის მთელ ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ უკაბელო ინტერნეტით.

აკადემიის ღონისძიებები და სტუდენტური ინიციატივები

აკადემია სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს - კულტურულ-საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ, სპორტულ სხვ.

კარიერული ზრდა

აკადემიას ემსახურება კარიერული განვითარების კოორდინატორი, რომელიც ეხმარება დაინტერესებულ პირებს მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. აკადემია ზრუნავს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებაზე, კონსულტაციებს უწევს კურსდამთავრებულებს და ზრუნავს მათ დასაქმებაზე. კურსდამთავრებულები აღირიცხებიან შესაბამის მონაცემთა ბაზაში და აკადემია თვალყურს ადევნებს მათ პროფესიულ განვითარებას.

საკონტაქტო ინფორმაცია: